

აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში

შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების

თბილისის მანიფესტი

ჩვენ, ფორუმის - „კულტურა და შემოქმედებითობა ინოვაციისა და განვითარებისთვის: შემოქმედებითი საქართველოს გზამკვლევის“ მონაწილეები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან, მოლდოვადან, უკრაინასა და ევროპის კავშირიდან, შევიკრიბეთ, რათა ხელი შევუწყოთ კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების განვითარებას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.

რამდენადაც:

- ქვეყნის განვითარება ვერ იქნება მდგრადი კულტურის გარეშე, რადგან კულტურა გამოხატავს, თუ ვინ ვართ ჩვენ და განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას;
- კულტურა მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი განზომილებების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია; შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სხვადასხვა სტრატეგიებში ინტეგრირება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე; ხელს უწყობს დასაქმების ზრდას, დასახლებების განვითარებას და შემოქმედებითი პროცესების გაღვივებას;
- კულტურის როლი ასახულია გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის სექტემბერში მიღებული „მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგით“ გათვალისწინებულ სხვადასხვა მიზანში, მათ შორის იმ მიზნებში, რომელიც ეხება ცხოვრების დონის ამაღლებას სამოქალაქო საზოგადოების განვითარების (მაღალხარისხიანი განათლება, მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოება, გენდერული თანასწორობა და ა.შ.), ეკონომიკის მდგრადობისა და ჯანსაღი გარემოს

(მდგრადი ქალაქებისა და წარმოების და მოხმარების პრინციპები, უვნებელი საკვები და ა.შ.) კუთხით¹;

- ისტორიული მოცემულობიდან გამომდინარე, მსგავსია გამოწვევები და შესაძლებლობები აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა);
- საერთაშორისო ურთიერთობებში კულტურა მთავარ როლს თამაშობს, რადგანაც ის ხელს უწყობს საერთაშორისო მშვიდობას, სტაბილურობას, მრავალფეროვნებას და სამუშაო ადგილების სტიმულირებასა და ზრდას [„გაერთიანებული კომუნიკაციების“ - „ევროკავშირის სტრატეგია საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისთვის“ თანახმად (დოკუმენტი მიღებულია 2016 წლის 8 ივნისს, ევროპის კომისიისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის მიერ²)].
- კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება, მათი ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე საჭიროებს მთავრობებისა და სამთავრობო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის კოორდინირებულ ძალისხმევას.

ვაცხადებთ, რომ:

შევიმუშავებთ კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოტენციალის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ინიციატივებს, რომელშიც ყველა დაინტერესებულ მხარეს - პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელ პირებს, კულტურის სფეროს პროფესიონალებს და შემოქმედებით მეწარმეებს, სხვა სექტორების, მათ შორის, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს, ფართო საზოგადოებას და ა.შ. ექნებათ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა; ჩავატარებთ ფორუმებს, კონფერენციებსა და სემინარებს და შევქმნით კომუნიკაციის ინოვაციურ პლატფორმებს საუკეთესო გამოცდილების, წარმატებული ისტორიისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების კვლევის შედეგების გასავრცელებლად; მხარს დავუჭერთ მედიას შემოქმედებითი პროცესების ასახვაში და

¹ Culture for Sustainable Development. Retrieved from unesco.org: <https://en.unesco.org/themes/culture-sustainable-development> in June, 2016 (2014).

² JOIN (2016) 29 Final

წავახალისებთ ახალი მედია-ინსტრუმენტების შექმნას, მათ შორის, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ონლაინმომსახურების სისტემის დანერგვას;

ხელს შევუწყობთ შემოქმედებითი ინდუსტრიების ანალიზს ინტერდისციპლინური კვლევისა და ე.წ. მეფინგის საშუალებით. კვლევები უნდა ეფუძნებოდეს სპეციფიკურ მეთოდოლოგიას და შემოქმედებითი ინდუსტრიების სხვადასხვა ქვესექტორთან მიმართებაში კარგად განსაზღვრულ ინდიკატორებს (მაგ. UNESCO Culture for Development Indicators), რათა სრულად წარმოჩინდეს შემოქმედებითი ინდუსტრიების გავლენა ეკონომიკასა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე და შემუშავდეს კვლევაზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკა;

განვავითარებთ შემოქმედებით ეკოსისტემას რეგიონში, შემოქმედებითი ინდუსტრიების ჰორიზონტალური განზომილების გათვალისწინებით საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროსა და ზოგადად, ქვეყნების მდგრად განვითარებაში. მოვუწოდებთ პოლიტიკის სხვადასხვა სფეროზე პასუხისმგებელ პირებს, ბიზნესს და არასამთავრობო სექტორს, რომ ცალკე შეიმუშავონ შემოქმედებითი ინდუსტრიების სტრატეგია და უზრუნველყონ მისი ინტეგრირება პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტში;

ავსახავთ კულტურასა და შემოქმედებითობას განათლების სისტემის ყველა დონეზე, რათა ხელი შეეწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მოზარდებში შემოქმედებითი უნარების და აზროვნების განვითარებას და მათ კულტურულ პროცესებში ადრეული ასაკიდან ჩართვას. ჩვენი მიზანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეძლონ პროფესიული კადრების მომზადება, სკოლამდელი, სასკოლო და არაფორმალური განათლების, უმაღლესი განათლების დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო სტანდარტების გაუმჯობესების და უწყვეტი განათლების სისტემის ხელშეწყობის გზით. ავსახავთ შემოქმედებით-სამეწარმეო აქტივობებს სასწავლო კურიკულუმებში ინტერდისციპლინური პროგრამების (რომელიც აერთიანებს სტუდენტებს ისეთი განსხვავებული სფეროებიდან, როგორცაა: ბიზნესი, კულტურა, ტექნოლოგიები და ა.შ.), ინკლუზიური და ინტერაქტიული სასწავლო მეთოდებისა და პლატფორმების შექმნის (როგორცაა საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეში არსებული სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები (ფაბლაბები)), ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პროექტებში ჩართულობის პრაქტიკის და სხვა საშუალებით.

ჩვენ განვავითარებთ შესაბამის პლატფორმებს - ინფრასტრუქტურას და ვირტუალურ სივრცეებს რეგიონში ძლიერი შემოქმედებითი ეკონომიკის შექმნის მიზნით. ერთის მხრივ, საჭიროა ისეთი პროგრამების დანერგვა, როგორც არის შემოქმედებითი ბიზნესინკუბაცია და აქსელერატორის

მომსახურება, რაც შემოქმედებით ბიზნესებს მისცემს თანამშრომლობის შესაძლებლობას, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი შემოქმედებითი პროდუქტებისა და მომსახურებების მიღებას და, მეორეს მხრივ, ისეთი სივრცეების მოწესრიგება, როგორც არის ძველი ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა, სადაც შემოქმედებით ადამიანებს შეეძლებათ შეხვედრა, იდეების განხილვა და ექსპერიმენტების განხორციელება. აღნიშნული, ხელს შეუწყობს მულტიდისციპლინური გარემოს ჩამოყალიბებას, კონკრეტული უბნის მიმზიდველობის ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებას;

კარგი მმართველობის პრინციპების დაცვით, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების და ალტერნატიული დაფინანსების მეთოდების გათვალისწინებით, ჩვენ განვაპირობებთ შემოქმედებითი ინდუსტრიების დაფინანსების მდგრად, გამჭვირვალე და ინოვაციურ მექანიზმებს ცენტრალურ, მუნიციპალურ და რეგიონულ დონეებზე. ამასთანავე, საჭიროა ისეთი მხარდაჭერი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მოძიება და გამოცდა, როგორცაა: შემოქმედებითი ვაუჩერები, ე.წ ქრადფანდინგი და ა.შ. ფილანტროპიის და საჯარო-კერძო პარტნიორობის წახალისება.

დავიცავთ საავტორო და მომიჯნავე უფლებებს და გავაძლიერებთ კანონის აღსრულების მექანიზმებს. საავტორო უფლებების დაცვა შემოქმედებითი ადამიანების შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება, რაც გააერთიანებს ყველა დაინტერესებულ მხარეს: კულტურის სექტორის წარმომადგენლებს, საავტორო უფლებების მქონე პირებს, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებს, სამართალდამცავებს, პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს და ა.შ;

ჩვენ ხელს შევუწყობთ კოპროდუქციასა და შემოქმედებითი პროდუქტების და მომსახურებების ექსპორტს რეგიონში. ჩვენ უნდა შევქმნათ დაფინანსების მექანიზმები რეგიონული კოპროდუქციისთვის და გავაძლიეროთ შესაბამისი პლატფორმები (შემოქმედებითი პროდუქტების და მომსახურებების რეგიონული ბაზრობები) კულტურისა და შემოქმედებითი პროდუქტისა და მომსახურებისთვის, რაც დაეხმარება შემოქმედებით საწარმოებს გააფართოვონ ოპერირების არეალი. ამასთანავე, შემოქმედებითი პროდუქტებისა და მომსახურებების ექსპორტის ზრდა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდასა და რეგიონის ექვსივე წევრი ქვეყნის კულტურის ინტერნაციონალიზაციას;

ჩვენ გვჯერა, რომ კულტურა და შემოქმედებითობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საყოველთაო მშვიდობაში და ვაცნობიერებთ, რომ ამ მხრივ, რეგიონული თანამშრომლობა გავლენას მოახდენს მთლიანი რეგიონის ეკონომიკაზე. შესაბამისად, საჭიროა ინტერდისციპლინური მიდგომების დანერგვისა და ერთობლივი ძალისხმევის ხელშეწყობა, რათა განხორციელდეს რეგიონული გაცვლითი ინიციატივები (ხელოვანთა და შემოქმედებით პროფესიონალთა გაცვლითი პროგრამები, რეგიონული პროექტები) აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.

ამრიგად, ჩვენ გთავაზობთ, რომ აღნიშნული მანიფესტის მხარდამჭერებმა:

- შევიმუშავოთ ერთიანი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურისა და შემოქმედებითობის სრულად ასახვას სხვადასხვა დღის წესრიგში, პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს (შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლები, ბიზნესსექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ.) შორის პარტნიორობისა და გამჭვირვალე, ინკლუზიური და ინფორმაციული მმართველობის სისტემის დანერგვის ხელშეწყობით;
- ინიცირება გავუწიოთ სტრატეგიული ალიანსების შექმნას, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მთავრობებს, ასევე, შემოქმედებითი სფეროს პროფესიონალებს შორის და დავგეგმოთ რეგიონთაშორისი თანამშრომლობის პროექტები;
- თავის მხრივ, მოვუწოდოთ მთავრობებს, დონორ ორგანიზაციებს, საერთაშორისო სტრუქტურებს, (როგორც არის ევროპის კავშირი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციები - მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ.), სამოქალაქო საზოგადოებას და კერძო სექტორს, ზემოაღნიშნული პრინციპებისა და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, თანამშრომლობისა და პარტნიორობის საფუძველზე, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები კულტურისა და შემოქმედებითობის, როგორც მთელი რეგიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტის მხარდასაჭერად.

თბილისი, 9 დეკემბერი, 2016

საქართველოს ტექნოპარკი